წერილის ნომერი: **18-01190183311**
თარიღი: **18/01/2019**
პინი: **3092**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 15 იანვრის #60-01190152524 წერილი (AR1638214) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ლევან შაბურიშვილის მომართვის საფუძველზე, შპს „სპეცმონტაჟის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ენუქიძის ქ. #7 ს.კ.: 01.19.22.003.063) (ს-1) III კლასის საწყობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს და დააფიქსიროს პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მასზე მწვანე ნარგავების დატანით, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მცენარეების ნუმერაციის შესაბამისად, საპროექტო შენობასა და ხე-მცენარეებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნით და მოსაჭრელი ან/და გადასარგავი ხე-მცენარეების მითითებით.

აქვე, ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მწვანე ქალაქის კონცეფციით, მიზანშეწონილია, შენობების მორგება/ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით, შესაბამისად საპროექტო შენობა უნდა განათავსოთ ისე, რომ ტერიტორიაზე შენარჩუნდეს საღი მწვანე ნარგავების მაქსიმალური ოდენობა.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი